

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ო კ მ ი №7

სხდომა გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის სხდომათა დარბაზში 2018 წლის 27 აგვისტოს (სხდომა დაიწყო 11:00 სთ-ზე, დამთავრდა 11:40 სთ-ზე).

სხდომას ესწრებოდნენ: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - ბადრი კალანდარიშვილი; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე - დავითი ხუხია; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ნანა ალანია; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე - თათია ჯინჯოლავა; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარედ - ზურაბი აფაქიძე; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის თავმჯდომარედ - ბადრი ხურცია; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - მრეწველები“-ს თავმჯდომარე - ავ. ფოცხვერია; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - კონსერვატორები“-ს თავმჯდომარე - ზურაბი წურწუმი; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - კონსერვატორები“-ს მოადგილე - ლევანი გაბელია; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - მრეწველები“-ს თავმჯდომარის მოადგილე - გენადი ხუხუნა; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „სენაკელების“ თავმჯდომარის მოადგილე - ბორისი სოსელია; საკრებულოს წევრები: შაქრო კოკაია; მათა ადამია; ზურაბი სანაია; დინარა ხარბედია; როზმანი ქამადაძე; მალხაზი ტორჩინავა; ბეჟანი სანაია; ნუკრი მირგატია; იური ქორიძე; პაატა ჯიქიძე; დათო ადამია; ელისო ცაგურია; ნიკოლოზ შამათავა.

ასევე ესწრებოდა: სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის პასუხისმგებელი პირები: დ. ალანია; ს. მორგოშია, ჯ. ჩოჩია, ბ. მამულია; ვ. ფაცაცია; ალ. ჯანჯღავა; გ. მისაბიშვილი; ჯ. ლაშქარავა. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი საკრებულოს აპარატის უფროსი - ვ. რუსია, აპარატის თანამშრომლები.

სხდომას თავმჯდომარეობდა: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - ბადრი კალანდარიშვილი.

დ დ ის წ ე ს რ ი გ ი:

1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (საკ. კოდი №44.11.24.011) სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის თავმჯდომარე: ბ. ხურცია

2. სს„ ლიბერთი ბანკი“ -სათვის სენაკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლების გადაცემაზე თანხმობის შესახებ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 ნოემბრის № 22 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის თავმჯდომარე: ბ. ხურცია

3. „სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 აგვისტოს № 41 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატოს საპროცედურო საკითხთა და ეთიკის
კომისიის თავმჯდომარე: ზ აფაქიძე

4. სენაკის მუნიციპალიტეტის, სენაკის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვეტარიზაციისა და ამორტიზირებული ან/და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესების დამტკიცების შესახებ

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატოს საპროცედურო საკითხთა და ეთიკის
კომისიის თავმჯდომარე: ზ აფაქიძე

5. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს 2018 -2019 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატოს საპროცედურო საკითხთა და ეთიკის
კომისიის თავმჯდომარე: ზ აფაქიძე

6. არასამეწარმეო (კომერციული) იურიდიული პირის „სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლანდელი აღზრდის გაერთიანების“ 2018 – 2020 წლების „ადრეული და სკოლანდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 28 -ე მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან თავსებადობის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: ნ. ალანია

7. „სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 ივლისის №17 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ”

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის
კომისიის თავმჯდომარე ზ. აფაქიძე

8. სენაკის მუნიციპალიტეტის 2018 წლის მეორე კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი: დ. ალანია
თანამომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე: დ. ხუხია

9. „სენაკის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის №72 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე”

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი: დ. ალანია
თანამომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე: დ. ხუხია

დღის წესრიგს (მომხრე – 25, წინააღმდეგი – 0;) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომამ განაგრძო მუშაობა წარმოდგენილი დღის წესრიგის შესაბამისად.

მოისმინეს: 1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (საკ. კოდი №44.11.24.011) სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე”

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის თავმჯდომარე: ბ. ხურცია

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი - სენაკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (საკ. კოდი №44.11.24.011) სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე.

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე – 27 წინააღმდეგი – 0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1. მიეცეს თანხმობა გადაეცეს სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ სენაკის მუნიციპალიტეტის ეკის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება საკადასტრო კოდით №44.1124.011, შემოდგომში საქართველოს საპატრიარქოსათვის გადაცემის მიზნით.

2. გამოცემული განკარგულების შესახებ ეცნობოს სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას და საქართველოს საპატრიარქოს

3. გამოცემული განკარგულების შესახებ ეცნობოს სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: სენაკი, რუსთაველის ქ. №247).

მოისმინეს: 2. სს,, ლიბერთი ბანკი“-სათვის სენაკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლების გადაცემაზე თანხმობის შესახებ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 ნოემბრის №22 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის თავმჯდომარე: ბ. ხურცია

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი - სს,, ლიბერთი ბანკი“ - სათვის სენაკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლების გადაცემაზე თანხმობის შესახებ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 ნოემბრის № 22 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ”

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე – 27; წინააღმდეგი – 0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1. მიეცეს თანხმობა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 ივლისის 17 დადგენილების 115-ე მუხლის მე-3 პუნქტის, სს „ლიბერთი ბანკი“-დან შემოსული 25.05.18წ. 012600 წერილის და სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის 2018 წლის 1 აგვისტოს 01/263 მომართვის შესაბამისად ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სს,,ლიბერთი ბანკი“-სათვის სენაკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 ნოემბრის 22 განკარგულება.

2. გამოცემული განკარგულების შესახებ ეცნობოს სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: სენაკი, რუსთაველის ქ. №247).

მოისმინეს: 3. „სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 აგვისტოს № 41 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატოს საპროცედურო საკითხთა და ეთიკის
კომისიის თავმჯდომარე: ზ აფაქიძე

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი - „სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 აგვისტოს № 41 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე – 27 წინააღმდეგი – 0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომამ **და ა დ გ ი ნ ა:**

მიეცეს თანხმობა „სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეთა თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 აგვისტოს №41 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge,17/08/2017; სარეგისტრაციო კოდი 010250020.35.108.016321) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს დანართი №1 -ის შესაბამისად.

მუხლი 2.

დადგენილების მოქმედება გავრცელდეს 2018 წლის 24 მაისიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

მუხლი 3.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მოისმინეს: 4. სენაკის მუნიციპალიტეტის, სენაკის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვეტარიზაციისა და ამორტიზირებული ან/და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესების დამტკიცების შესახებ

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატოს საპროცედურო საკითხთა და ეთიკის
კომისიის თავმჯდომარე: ზ აფაქიძე

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი - სენაკის მუნიციპალიტეტის, სენაკის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვეტარიზაციისა და ამორტიზირებული ან/და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესების დამტკიცების შესახებ

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე – 27; წინააღმდეგი – 0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომამ **და ა დ გ ი ნ ა:**

მიეცეს თანხმობა საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილს, 106¹ მუხლის მე-14 ნაწილს და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად,

მუხლი 1

დამტკიცდეს სენაკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ბალანსზე რიცხული ქონების ინვენტარიზაციის და ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესი, თანახმად №1 დანართისა.

მუხლი 2

დამტკიცდეს სენაკის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციისა და ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესი, თანახმად №2 დანართისა.

მუხლი 3

დამტკიცდეს სენაკის მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოს საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციისა და ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესი, თანახმად №3 დანართისა.

მუხლი 4

დამტკიცდეს ქონების ჩამოწერასთან დაკავშირებული ფორმები, თანახმად №4 დანართის.

მუხლი 5

ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე, ძალადაკარგულად გამოცხადდეს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 30 სექტემბრის №46 განკარგულება „სენაკის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების და სენაკის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ დაფუძნებული სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების განკარგვის, გადაცემის, ინვენტარიზაციისა და ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ“

მუხლი 6

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მოსმინეს: 5. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს 2018 -2019 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატოს საპროცედურო საკითხთა და ეთიკის
კომისიის თავმჯდომარე: ზ აფაქიძე

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი - „სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს 2018 -2019 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე”

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე – 27 წინააღმდეგი – 0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომამ **დადგინა:**

1. მიეცეს თანხმობა „სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 მარტის №22 დადგენილების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის 2018 წლის 2 აგვისტოს (სარეგისტრაციო №70) მოხსენებითი ბარათის შესაბამისად დამტკიცდეს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმა დანართის შესაბამისად. და ძალდაკარგულად გამოცხადდეს „სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად 2018 წელს განსახორციელებელი სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 მარტის №21 განკარგულება.

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მის.: ქ. სენაკი შ. რუსთაველის ქ. №247).

მოისმინეს 6. არასამეწარმეო (კომერციული) იურიდიული პირის „სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლანდელი აღზრდის გაერთიანების“ 2018 – 2020 წლების „ადრეული და სკოლანდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 28 -ე მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან თავსებადობის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: ნ. ალანია

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი არასამეწარმეო (კომერციული) იურიდიული პირის „სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლანდელი აღზრდის გაერთიანების“ 2018 – 2020 წლების „ადრეული და სკოლანდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 28 -ე მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან თავსებადობის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე – 27 წინააღმდეგი – 0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1. დამტკიცდეს თანდართული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლანდელი აღზრდის გაერთიანების“ 2018-2020 წლების „ადრეული და სკოლანდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან თავსებადობის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმა.

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიას.

3. განკარგულების ასლი გადაეგზავნოს: საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტს, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას, ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლანდელი აღზრდის გაერთიანებას.“

4. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სენაკის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ.სენაკი, შ. რუსთაველის ქ.№247).

მოისმინეს 7. „სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 ივლისის №17 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ”

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის
კომისიის თავმჯდომარე ზ. აფაქიძე

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 ივლისის №17 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ”

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე – 27 წინააღმდეგი – 0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომამ **და დ გ ი ნ ა:**

1. მიეცეს თანხმობა „სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 ივლისის №17 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 17/07/2014., სარეგისტრაციო კოდი: 010250040.35.108.016152) დამტკიცებულ დანართში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით

„1.საკრებულოს მორიგი სხდომები, ამ რეგლამენტის დადგენილი წესით იმართება თვეში ერთხელ მაინც, საკრებულოს თავმჯდომარის მოწვევით;

ბ) 34-ე მუხლის მე-12 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით

„ 12. ფრაქცია რეგისტრაციამდე თავისი შემადგენლობიდან ირჩევს ფრაქციის თავმჯდომარეს, ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილეს/მოადგილეებს. ფრაქციის თავმჯდომარე ფრაქციის რეგისტრაციისათვის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიას მიმართავს განცხადებით. განცხადებაში აღინიშნება ფრაქციის სახელწოდება, თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის/მოადგილეების და ფრაქციის წევრთა ვინაობა. განცხადება ხელმოწერილი უნდა იქნეს ფრაქციის ყველა წევრის მიერ. განცხადებას თან უნდა დაერთოს ფრაქციის მიერ მიღებული ფრაქციის პოლიტიკური პლატფორმა და ფრაქციის წესდება;“

გ) 34-ე მუხლის მე-14 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ 14. ფრაქციაში ახალი წევრის მიღების, ფრაქციიდან წევრის გასვლის ან გარიცხვის, ფრაქციის პოლიტიკურ პლატფორმაში და/ან წესდებაში ცვლილების, ფრაქციის თავმჯდომარის, ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილის/მოადგილეების შეცვლის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიას. თუ ფრაქციიდან წევრთა გასვლის ან გარიცხვის შედეგად მასში გაერთიანებული დარჩა საკრებულოს 3 წევრზე ნაკლები, ფრაქცია ითვლება გაუქმებულად, რასაც საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია უახლოეს სხდომაზე აცნობებს საკრებულოს;“

დ) მე-36 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 36. ფრაქციის თავმჯდომარე და ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე

„1. ფრაქციას ხელმძღვანელობს და ფრაქციის მიერ მიღებულ დოკუმენტებს ხელს აწერს ფრაქციის თავმჯდომარე.

2. ფრაქციის თავმჯდომარეს ჰყავს ერთი მოადგილე, ხოლო ფრაქციაში ცხრა ან ცხრაზე მეტი წევრის არსებობის შემთხვევაში, ფრაქციის თავმჯდომარე უფლებამოსილია ჰყავდეს დამატებით ერთი მოადგილე.

3. ფრაქციის თავმჯდომარის და ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილის უფლებამოსილების, არჩევის, გადარჩევის და ფრაქციის შიდა ორგანიზაციული მუშაობის საკითხები განისაზღვრება ფრაქციის წესდებით.

4. ფრაქციის თავმჯდომარეს და ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილეს უფლება არა აქვს, ეწეოდეს სამეწარმეო ანაზღაურებად საქმიანობას, გარდა სამეცნიერო, პედაგოგიური და შემოქმედებითი საქმიანობისა. ფრაქციის თავმჯდომარე და ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე იმავდროულად არ შეიძლება იყოს საკრებულოს სხვა ფრაქციის წევრი. “

ე) 82-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) ამორჩეველთა საერთო რაოდენობის 1%-ს პეტიციის წესით (მატერიალუტად), ხოლო ელექტრონულად - 0,5%-ს (მხოლოდ საკრებულოს ნორმატიულ აქტზე);“

ვ) 98-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი პეტიციის განხილვის თაობაზე განცხადების წარმდგენ სუბიექტს გადასცემს მხარდაჭერთა სიის ბლანკებს, რომელიც უნდა შეიცავდეს მხარდაჭერის სახელის და გვარის, დაბადების თარიღს (რიცხვი, თვე, წელი), პირადი ნომერის, რეგისტრაციის ადგილს, ხელმოწერის თარიღს და ხელმოწერას;“

„გ) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მიერ გაცემულ თითოეულ ბლანკზე მითითებული უნდა იყოს ხელმოწერების შეგროვებაზე პასუხისმგებელი პირის (მომხსენებლის/მომხსენებლების) სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, პირადობის მოწმობის (პასპორტის) ნომერი, რეგისტრაციის ადგილი, ხელმოწერის დადასტურების თარიღი და ხელმოწერა და შესაბამისი საკონტაქტო ინფორმაცია;“

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მოსმინეს 8. სენაკის მუნიციპალიტეტის 2018 წლის მეორე კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი: დ. ალანია
თანამომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე: დ. ხუბია

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი სენაკის მუნიციპალიტეტის 2018 წლის მეორე კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თობაზე

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე – 27 წინააღმდეგი – 0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომამ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა**:

1. მიეცეს თანხმობა საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 16-ე მუხლის მეორე ნაწილის, „ა“ ქვეპუნქტის და საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ შესაბამისად „სენაკის მუნიციპალიტეტის 2018 წლის II კვარტლის ბიუჯეტის შესრულება შეფასდეს დადებითად.
2. გამოცემული განკარგულების შესახებ ეცნობოს სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მის.:ქ. სენაკი, შ. რუსთაველის ქ. №247).

მოისმინეს 9 „სენაკის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის №72 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე”

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი: დ. ალანია
თანამომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე: დ. ხუხია

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო მოხსენებითი ბარათი დადგენილების პროექტზე - „სენაკის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის №72 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე”.

ასევე აღნიშნა, რომ საქართველოს საარჩევნო კოდექსის მიხედვით ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის აკრძალვის ვადის გათვალისწინებით საქართველოს მთვრობის მიერ სენაკის მუნიციპალიტეტზე გამოყოფილი ინფრასტრუქტურული პროექტების თანხა ასახულ იქნეს დღევანდელ სხდომაზე. მიზანშეწონილად მიმაჩნია შემცირდეს სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის (კოდი 02 01) შრომის ანაზღაურების მუხლი 46000 ლარით და შესაბამისად გაიზარდოს რეგიონის ფონდის თანადაფინანსება (კოდი 0310) არაფინანსური აქტივის ზრდის მუხლი 46000 ლარით და სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა 500000 ლარი ასახულ იქნეს გზის რეაბილიტაციის (კოდი 03 01) არაფინანსური აქტივის მუხლში 500000 ლარი.

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე – 27 წინააღმდეგი – 0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომამ **და დ გ ი ნ ა**:

მიეცეს თანხმობა „სენაკის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის №72 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge. 27/12/2017 სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.108.016352) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

„ მუხლი 1 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით

მუხლი 1.

1. „სენაკის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის №72 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge. 27/12/2017 სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.108.016352) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

„ მუხლი 1 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ა) განისაზღვროს:

ა. ა) შემოსულობები 13049,4 ათ.ლარით;

ა. ბ) გადასახდელები 13642,4 ათ.ლარით;

ა. გ) სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადმოსაცემი ტრანსფერი 9144,0 ათ.ლარით, მათ შორის:

ა. გ.ა) გათანაბრებითი ტრანსფერი 4486,6 ათ.ლარით;

ა. გ.ბ) მიზნობრივი ტრანსფერი 195,0 ათ.ლარით;

ა.გ.გ) ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები 4462,4

ა.დ) სარეზერვო ფონდი 19,5 ათ.ლარით.

ა.ე) ფინანსური აქტივების კლება 593,1 ათ.ლარით“;

დადგენილებით დამტკიცებული დანართის:

ა.ა) 1-ლი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1“. განისაზღვროს სენაკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი			2018 წლის პროგნოზი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი ემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი ემოსავლები
შემოსავლები	11703.2	11442.5	3490.3	7952.2	12849.4	4462.4	8387.0
გადასახდელები	3082.0	3154.1	0.0	3154.1	2800.0	0.0	2800.0
გრანტები	8174.0	7744.3	3490.3	4254.0	9144.0	4462.4	4681.6
სხვა შემოსავლები	447.1	544.2	0.0	544.2	905.4	0.0	905.4
ხარჯები	7897.8	7322.7	411.6	6911.1	7059.6	0.0	7059.6
შრომის ანაზღაურება	2175.8	1677.6	0.0	1677.6	1684.9	0.0	1684.9

საქონელი და მომსახურება	713.5	774.5	0.0	774.5	703.5	0.0	703.5
პროცენტი	0.0	0.0	0.0	0.0	35.0	0.0	35.0
სუბსიდიები	3715.4	3611.9	0.0	3611.9	3974.4	0.0	3974.4
გრანტები	229.5	11.7	0.0	11.7	0.0	0.0	0.0
სოციალური უზრუნველყოფა	485.8	461.3	0.0	461.3	518.7	0.0	518.7
სხვა ხარჯები	577.8	785.7	411.6	374.1	143.1	0.0	143.1
საოპერაციო სალდო	3805.4	4119.8	3078.7	1041.1	5789.7	4462.4	1327.4
ფინანსური აქტივების ცვლილება	3614.0	3690.3	2747.9	942.4	6382.8	4927.9	1454.9
ზრდა	3703.3	4018.9	2747.9	1271.0	6582.8	4927.9	1654.9
კლება	89.3	328.6	0.0	328.6	200.0	0.0	200.0
მთლიანი სალდო	191.4	429.5	330.8	98.7	-593.1	-465.5	-127.5
ფინანსური აქტივების ცვლილება	191.4	428.0	330.8	97.2	-593.1	-465.5	-127.5
ზრდა	194.5	621.4	474.5	146.9	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	194.5	621.4	474.5	146.9	0.0	0.0	0.0
კლება	3.1	193.4	143.7	49.8	593.1	465.5	127.5
ვალუტა და დეპოზიტები	3.1	193.4	143.7	49.8	593.1	465.5	127.5
ვალდებულებების ცვლილება	0.0	-1.5	0.0	-1.5	0.0	0.0	0.0
კლება	0.0	1.5	0.0	1.5	0.0	0.0	0.0
საშინაო	0.0	1.5	0.0	1.5	0.0	0.0	0.0
ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

ა.ბ) მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2“. სენაკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახადები და ნაშთის ცვლილება

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი			2018 წლის პროგნოზი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი ემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი ემოსავლები
შემოსულობები	11792.5	12015.5	3526.8	8488.7	13049.3	4462.4	8587.0
შემოსავლები	11703.2	11774.8	3526.8	8248.0	12849.3	4462.4	8387.0
არაფინანსური აქტივების ღირებულება	89.3	240.7		240.7	200.0		200.0
ვალდებულებების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
გადასახადები	11601.0	12208.9	3670.4	8538.5	13642.4	4927.9	8714.5
ხარჯები	8004.9	8004.9	416.9	7154.5	7059.6		7059.6
არაფინანსური აქტივების ზრდა	3703.3	4636.0	3253.5	1382.5	6582.8	4927.9	1654.9
ვალდებულებების კლება	0.0	1.5		1.5	0.0	0.0	0.0
ნაშთის ცვლილება	191.5	-193.4	-143.7	-49.8	-593.1	-465.5	-127.6

“;

ა.გ) მე-7 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 7.“ სენაკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს სენაკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 7059.6 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით.

პროგნოზის კოდი	დასახელება	2016 წლის	2017 წლის ფაქტი		2018 წლის პროგნოზი	
			სულ	მათ შორის	სულ	მათ შორის

	ფაქტი		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი ემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი ემოსავლები
ხარჯები	7897.8	7322.7	411.6	6911.1	7059.6	0.0	7059.6
შრომის ანაზღაურება	2175.8	1677.6	0.0	1677.6	1684.9	0.0	1684.9
საქონელი და იმსახურება	713.5	774.5	0.0	774.5	703.5	0.0	703.5
პროცენტი	0.0	0.000	0.000	0.000	35.0	0.0	35.0
სუბსიდიები	3715.4	3611.9	0.0	3611.9	3974.4	0.0	3974.4
გრანტები	229.5	11.7	0.0	11.7	0.0	0.0	0.0
სოციალური ზრუნველყოფა	485.8	461.3	0.0	461.3	518.7	0.0	518.7
ახვა ხარჯები	577.8	785.7	411.6	374.1	143.1	0.0	143.1

„“;

ა.დ) მე- 8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 8.“ სენაკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს სენაკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 6382,8 ათასი ლარით

მათ შორის:

